პროლეტარიელო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მეზობლთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

პარასკევი, 6 იანვარი, 1950 წ. № 4 (5564). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია:

ბოლშევიზმის მძლავრი იარაღი — „პრავდის“ 5-I მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
მისალმებათა ნაკადი (მე-2 გვერდი).
პრეზიის მიმოწოლვა (მე-2 გვერდი).
ი. ჩხიკვიშვილი—ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეექვსე ტომი (მე-3 გვერდი).
რეზოლუციები (მე-3 გვერდი).
ტრაქტორისტების რამოწინა „მეთოდით“ (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

ბოლშევიზმის მძლავრი იარაღი

მშრომელთა საქმისათვის, სოციალიზმის საქმისათვის მრავალი ათეული წლის თავდადებული ბრძოლით ნაფიცი სტალინის პარტიამ მილიონობით მუშისა და გლეხის მხურვალე სიყვარული და უსაზღვრო ერთგულება მოიხვეჭა. საბჭოთა ხალხს ბოლშევიკების პარტია მიაჩნია თავის პარტიად, მახლობელ და შობიდან ერთ-ერთ, რომლის განმტკიცებისთვის იგი სასიცოცხლოდ დაინტერესებულია, რომლის ხელმძღვანელობასაც იგი ნებაყოფლობით ანდობს თავის ბედს.

ბოლშევიკური პარტიის დიდი და მაარსებელები და ბელადები ლენინი და სტალინი გვასწავლიან, რომ ჩვენი პარტიის ძალას და უძლეველობას, ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ძალას და უძლეველობას შეადგენს მასებთან ურღვევი კავშირი. პარტია დაიღუპება, აბზარს ამხანაგი სტალინი, თუ იგი ჩაიკეტა თავის ვიწრო პარტიულ ნაკუწში, თუ იგი მოსწყდა მასებს, თუ მას ბიუროკრატიული ხასიათი მოედო.

კომუნისტური პარტია ორსებობის პირველი დღეებიდანვე ასწავლის და ზრდის თავის კადრებს მუშათა კლასსადმი, სოციალიზმის საქმისადმი ერთგული სამსახურის სულისკვეთებით, უფიდელი მომთხოვნელობის, ნაკლოვანებებისა და შეცდომებისადმი შეუფარგლობის სულისკვეთებით. მეორე ინტერნაციონალის პარტიებისა და ახლანდელ მემარჯვენე სოციალისტური პარტიებისაგან განსხვავებით, რომლებიც ცდილობენ ეკეთილდღეობის ყალბი ბარადით დაფარონ თავიანთი სენი და შეცდომები, ჩვენი პარტია რევოლუციური კრიტიკისა და თვითკრიტიკის სულისკვეთებით ზრდის თავის კადრებს, ყველა კომუნისტს.

„პოლიტიკური პარტიის დამოკიდებულება თავისი შეცდომებისადმი, — აღნიშნავს ლენინი,—არის პარტიის სერიოზულობისა და იმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უაღრესად სწორი კრიტერიუმი, თუ **ნამდვილად** როგორ ასრულებს იგი თავის მოვალეობას თავისი **კლასისადმი** და მშრომელი **მასებისადმი.** შეცდომის აშკარად აღიარება, შეცდომის მიზეზთა გამომცდენება, მისი წარმოშობი ვითარების ანალიზი, შეცდომის გამოსწორების საშუალებათა გულმოდგინედ განხილვა—ეს ის არის სერიოზული პარტიის ნიშანი, ეს ის არის მის მიერ მოვალეობის შესრულება, აი ეს არის **კლასის,** ხოლო შემდეგ **მასის** აღზრდა და სწავლება“.

ჩვენი პარტია ბუდამ მიდიოდა და ახლაც მიდის ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის გამეფულად გამოსის გზით. აბსანგი სტალინი გვასწავლის, რომ უთვითკრიტიკოდ წინ ვერ წავალთ, რომ თვითკრიტიკა გვეხალრიოება როგორც ჰაერი, როგორც წყალი, რომ ბოლშევიზმის ძალა სწორედ ის არის, რომ მას არ ეშინია კრიტიკისა და თავის ნაკლოვანებათა კრიტიკაში პოულის ენერგიას შემდგომი წინსვლისათვის.

„თვითკრიტიკის ლოზუნგი, — აღნიშნავდა ამხანაგი სტალინი, ჯერ კიდევ 1928 წელს,—არ შეიძლება ახალ ლოზუნგად მივიჩნიოთ. იგი თვით საფუძველად უდევს ბოლშევიკურ პარტიას. იგი საფუძველად უდევს ბოლშევიკურ დიქტატურის რეჟიმს. თუ ჩვენი ქვეყანა პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაა, ხოლო დიქტატურას ერთი პარტია, კომუნისტების პარტია ხელმძღვანელობს, რომელიც ძალაუფლებას არ უყოფს სხვა პარტიებს და არც შეეძლო გაეყოფა,—განა ცხადი არ არის, რომ ჩვენ თვითონ უნდა გამოვაშაყაროთ და გამოვასწოროთ ჩვენი შეცდომები, თუ გვსურს წინსვლა, განა ცხადი არ არის, რომ მათ სხვა ვერავინ ვერ გამოაშკარავებს და გამოასწორებს. განა ცხადი არ არის, ამხანაგებო, რომ თვითკრიტიკა უნდა იყოს ერთ-ერთი უაღრესად სერიოზული ძალა, რომელიც წინ მიაყავს ჩვენი განვითარება?“.

კრიტიკა და თვითკრიტიკა განსაკუთრებული კანონზომიერება და საბჭოთა საზოგადოების განვითარების მამოძრავებელი ძალა, რომელიც ამხანაგ სტალინის განხან აღმოაჩინა. ჩვენს პარტიაში, ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ უაღრესად ფართოდ გაჩაღდეს ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა თავიდან ბოლომდე და ბოლოდან თავამდე, კრიტიკა გაბედული და პრინციპული, კრიტიკა განურჩევლად პიროვნებისა.

პარტიული მასები თავიანთ ხელმძღვანელებს ამოწმებენ აქტივის კრებებზე, კოხფერენციებზე, ყრილობებზე მათი ახალთაობის მოსმენის გზით, ნაკლოვანებათა კრიტიკის გზით, დასასრულ, ამა თუ იმ ხელმძღვანელი ამხანაგების ხელმძღვანელ ორგანოებში არჩევის, თუ არარჩევის გზით. უპარტიო მასები თავიანთ სამეურნეო, პროფესიულ და სხვა ხელმძღვანელებს ამოწმებენ უპარტიოთა აქტივის კრებებზე, ყოველდღეურ მასობრივ თათბირზე, სადაც ისინი ისმენენ თავიანთ ხელმძღვანელთა ანგარიშს, აკრიტიკებენ ნაკლოვანებებს და სახავენ მათი გამოსწორების გზებს. ხალხი ხელმძღვანელებს ამოწმებს შრომელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნების დროს საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფაფული კენჭისყრის გზით.

ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს დროულად ავიცილოთ თავიდან და გამოვასწოროთ მუშაობის შეცდომები და ნაკლოვანებანი, აღვძრათ კომუნისტების შმნენგელთა მილიონიან მასებში შემოქმედებითი ინიციატივა, განუხრელად ავამაღლოთ მთელი ჩვენი მუშაობის დონე, დავაჩქაროთ კომუნიზმისაკენ ჩვენი წინსვლის ტემპი.

კომუნისტური პარტია წინ უძღვის მასებს, ეყოდნობა მილიონობით მშრომელთა აქტივობას და შესანიშნავ წარმატებას აღწევს საბუნენო და კულტურული მშენებლობის ყველა ფრონტზე. მაგრამ წარმატებათა ვითარება ხელს უწყობს თვითკმაყოფილების და თავისი ნაკლოვანებებისადმი არაკრიტიკული დამოკიდებულების გაჩენადლების შექმნას. ზოგიერთი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირული ხელმძღვანელი იჩენს მტრისმტერ თვითდაკერებულობას, მკეცხარობას, უგულებელყოფს ქვემოდან მომდინარე კრიტიკის ხმას.

ფაქტები მოწმობენ, რომ მთელ რიგ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლის მხრივ. ზოგიერთი პარტიულ ორგანიზაციაში არასწორად ეკიდებიან თვითკრიტიკის განვითარების საქმეს, სათანადო დახმარებას არ უწევენ კომუნისტებს, რომლებიც სწორად აკრიტიკებენ ნაკლოვანებებს, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში კრიტიკისათვის დევნის ფაქტებსაც კი ეგზავლენ. მშრომელთა განცხადება და წერილი ხშირად მაუდქვამ ამოდგებული განუხილველი რჩება, ხოლო განცხადების შემტანთ მთელ რიგ შემთხვევებში დევნიან გათავხედებული ბიუროკრატები. კრიტიკისა და თვითკრიტიკისადმი არასწორი დამოკიდებულების შედეგად ზოგან ისეთი ვითარება იქმნება, რომლის დროსაც პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაობის ნაკლოვანებებს არ აკრიტიკებენ ბოლშევიკურად და საჭირო ღონისძიებას არ ხმარობენ მათი დროულად გამოსწორებისათვის.

ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლაში დიდი როლი უნდა შეასრულოს ჩვენმა პრესამ. ამაკე ფრო ზოგიერთი პარტიული კომიტეტი არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს თავის გაზეთს, მხარს არ უჭერს გაზეთის სწორ კრიტიკულ გამოსვლებს და ზოგჯერ კიდეკიც უკრძალავს კრიტიკული. მასალების გამოქვეყნებას. გაზეთისადმი ასეთი არასწორი დამოკიდებულება ამცირებს პრესის, როგორც ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლაში პარტიის უაღრესად ბასრი იარაღის, მნიშვნელობას და ზიანს აყენებს ჩვენს საქმეს.

ზოგიერთი მუშაკის პრაქტიკაში ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა ბოლშევიზმისათვის უცხო ბიუროკრატიული მეთოდები ხელმძღვანელობისა. მასებს მოწყვეტილი ასეთი მუშაკები, რომელთაგარა სურთ ყურად იღონ მათი ხმა, ამპარტაწოსასა და ყოყოჩობას იჩენენ, უცოდველად მოაქვთ თავი, საწყალად ეიინხიათ თვითეული კრიტიკული შენიშვნა. ადამიანებს, რომლებიც კრიტიკას ეწევიან, ასეთი მეშაკები სიტყვას აწყვეტინებენ გრძელი და არასწორი რეპლიკებით და ცდილობენ ჩაარეკონ მოკოოტიკენი. მოკრიტიკეებს რომ თავი დაალწიონ, ბიუროკრატები იყენებენ კრიტიკის დევნის ულაზესად სხვადასხვა შენიღბულ მეთოდებს: ცდილობენ თავიდან მოიშორონ „მოუსვენარი ადამიანები“ „შტატების შემცირების“ გამო დათხოვნის გზით, თან აღარ აძლევენ დამსახურებულ პრემიასა და სხვა წამახალისებელ ჯილდოს, ხელს უშლიან მათს დაწინაურებას მუშაობაში. ბიუროკრატების მთელი ეს ხრიკები უაღრესად სასტიკად უნდა იქნას დაგმობილი, რადგან ისინი ეწინააღმდეგებიან ბოლშევიზმის სულს.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ დაუნდობელი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ თვითკრიტიკის ჩახშობისა და დევნის ფაქტების წინააღმდეგ. თვითკრიტიკის დევნა, ამბობს ამხანაგი სტალინი, ნიშნავს პარტიულ ორგანოზაცადაში ყოველგვარი თვითმოქმედების ჩაკვლას, პარტიულ მასებში ხელმძღვანელობის ავტორიტეტისათვის ძირის გამოთხრას, პარტიის გახრწნას და პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში ბიუროკრატების, პარტიის მოსისხლეებრივ ანტიპარტიულ ზნე-ჩვეულებათა დამკვიდრებას.

გამოაშკარაოს ბიუროკრატები, დღის სიბნელეზე გამოიყვანოს ისინი, გაბედულად გააკრიტიკოს შეცდომები და ნაკლოვანებანი, პიროვნების მიუხედავად, ძტიაცად და თამამდევრულად გაატაროს კრიტიკული ხაზი—ეს ყოველი კომუნისტის, ყოველი საბჭოთა ადამიანის ძოველობაა. თუ ბოლშევიკი მართალია, თუ მისი სიტყვა და მოქმედება შეესაბამება პარტიის იდეებს, მოწოდებებს, გადაწყვეტილებებს, მითითებებს, ვერავინ და ვერაფერი აიცდენს მას სწორ გზას. თვითეული კომუნისტის, თვითეული საბჭოთა ადამიანის მთელი ძალა და ცოდნა, მთელი ენერგია და საქმე ბიმპრთული უნდა იყოს ჩვენი საერთო საქმის გაუძაკობისებისაკენ, ჩვენი დიადი სამშობლოს აყვავებისაკენ, კომუნიზმის აშენებისაკენ.

„დაე პარტიამ, დაე ბოლშევიკებმა, დაე ჩვენი ქვეყნის ყველა პატიოსანმა მუშამ და მშრომელმა ელემენტმა, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — გამოაშკარაონ ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებანი, ჩვენი მშენებლობის ნაკლოვანებანი, დასახონ ჩვენი ნაკლოვანებანი ამის აღმოფხვრის გზები, რათა ჩვენს მუშაობასა და ჩვენს მშენებლობაში არ იყოს მოდუნება, დაჭაობება, ლობა, რათა მთელი ჩვენი მუშაობა, მთელი ჩვენი მშენებლობა დღითიდღე უმჯობესდებოდეს და ზედიზედ აღწევდეს წარმატებას“.

ვიხელმძღვანელოთ ჩვენი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის ამ მითითებებით! ვიცხოვრთ, ვიბრძოლოთ და გავიმარჯვოთ სტალინურად!

„პრავდის“ 5/I მოწოდებიდ.

ჩვენს რესპუბლიკაში

★ ★ ★

სვალინის მონუმენტი ბაკურციხეში

ბაკურციხეში. (საკ. კორ.). სოფელ ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ბაღში დიდი სტალინის დაბადების 70 წლისთავზე საზეიმოდ გაიხსნა ი. ბ. სტალინის მონუმენტი.

ლ. პ. ბერიას მონუმენტი

ამბროლაური. (საკ. კორ.). სოფელ კეკეტეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში დაიდგა ამხანაგ ლ. პ. ბერიას მონუმენტი. კოლმეურნეობის გამგეობის გადაწყვეტილებით, იმ ადგილზე, სადაც ბერიას მონუმენტი დაიდგა, გადატანილი იქნება საკოლმეურნეო კოლები და კანტორა. ჩატარდება კანტორის ეზოს კეთილმოწყობა, დაირგვება მცენარეები და გაშენდება ყვავილნარი. ეს სამუშაო დამთავრდება 1950 წლის მაისამდე.

მიკროელსადგური გერგეთის მყინვეარზე

ყაზბეგი. (საკ. კორ.). გერგეთის მყინვარზე, მაღალმთიან მეტეოროლოგიურ სადგურში რამდენიმე ხნის წინათ მოაწყეს მიკროელსადგური. ელექტროენერმო მოძრაობაში მოპყავს ქარის ძრავა. სადგური შეუფერხებლივ მუშაობს და დიდ დახმარებას უწევს მეზღვაურებს.

სკოლის ახალი შენობა

კაჯრეთი. (საკ. კორ.). სოფელ მაზარაძეში დაიწყო და სწრაფი ტემპით შენდება ახალი სასკოლო შენობა. სკოლას ექნება 26 საკლასო ოთახი, აგრეთვე ლაბორატორიები ფიზიკის, ქიმიის, ბუნებისმეტყველების, სპორტული დარბაზი და სხვა.

მშენებლობაზე დაიხარჯება 790.000 მანეთი და დამთავრება მიმდინარე წლის 1 სექტემბრისათვის.

ახალი მშენებლობანი

თეთალი. (საკ. კორ.). ამბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის დირექციამ დაამთავრა 28-ოთახიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. შენობის აგებაზე 530.000 მანეთი დაიხარჯა. ახალ სახლში ბინები მიეცათ ფაბრიკის წარჩინებულ მუშებს.

* * *

სოფელ ფშაველის მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ს. როსტომოვი) აიგო ორსართულიანი შენობა კანტორისათვის.

წელს კოლმეურნეობამ დაამთავრა მეცხოველეობის ფერმის ბინის მშენებლობა 120 სული მსხვილფეხა პირუტყვისათვის. წელსვე ააგეს 400 ტონა პროდუქტის ტევადობის საწყობი.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ნება დართო კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებსა და ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობებს ივაკრონ მატყლით 1950 წლის 1 აპრილამდე.

აუხაზეთის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ბრის პლანტაციის გაშენების გეგმა

აუხაზეთის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ჩაის პლანტაციის გაშენების 1949 წლის გეგმა შეასრულეს 100,5 პროცენტით. დათესილია 804 ჰექტარი ჩაი.

თელავის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს სახალხოსნოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების გეგმა

თელავის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების გეგმა მინდის ჩათვლით 105,1 პროცენტით, ამრეშუმის პარკისა—117,5 პროცენტით, ბოსტნეულისა — 102,5, კარტოფილისა — 140,6, ხორცისა—100,3, რძისა — 100,6, კვერცხისა—100,4, მატყლისა—101,4, ბრინჯის ყველისა—100,1, მსხვილი ტყავისა—100,6, წვრილი ტყავისა —120,4, ღორის ტყავისა—103,2, ბეწვეულისა—104,4, ტყავნედლეულისა — 157,1 და თივისა—118,8 პროცენტით.

შრომადღეზე თითო ფუთი მარცვლეული

გალი. (საკ. კორ.). უხვი, მარაქიანი მოსავალი მიიღო 1949 წელს სოფელ ქვემო ბარგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ: 300 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 50 ცენტნერი სიმინდი. სოციალისტური შრომის ვეტერანის ძუკე რიგვავან ბრიგადამ 32 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყარა 653 ფუთი სიმინდი, პირადად მის მიერ დამუშავებულ 1 ჰექტარზე კი—1.392 ფუთი, ლენინის ორდენოსანმა ა. შამუგიას ბრიგადამ 35 ჰექტარ ფართობზე საშუალოდ 340 ფუთი სიმინდია მიღებული. კოლმეურნეები შრომადღეზე თითო ფუთ მარცვლეულს და 22 მანეთს იღებენ.

უხვი მოსავალი

ბორჯომი. (საკ. კორ.). სოფელ ბაკურიანის კოლეეურნეობამ 1949 წელს კარტოფილის უხვი მოსავალი მოიყვანა, საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 150 ცენტნერი კარტოფილი. კოლმეურნეებმა ოლღა ბუძაშვილის თვითეულ ჰექტარზე 310 ცენტნერი კარტოფილი მიიღო, ზალიკა ქუმარიტაშვილმა და ზორენ პეტროსიანმა 180-180 ცენტნერი, პეტრე ხალიზოვმა — 220 ცენტნერი.

სახელმწიფო ვალდებულებების მოხდისა და სათესლე ფონდის გამოყოფის შემდეგ კოლმეურნეობამ შრომადღეზე 11 კილოგრამი კარტოფილი განაწილა.

კოლმეურნეების ოლღა ბუძაშვილის, ზალიკა ქუმარიტაშვილის და სოსლან ბაკაევის ოჯახებმა შრომადღეებზე 8-8 ტონა კარტოფილი მიიღეს, არმაგ შაელხოვისან — 11 ტონა.

მეჯი ჩაი. ციტრუსები

ქობულეთი. (საკ. კორ.). სტალინის სახელობის „ოჩხამურის“ ლენინის ორდენოსანი საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა ვადამდე წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფა 7 ტონა ლაო ჩაი და გადაჭარბებით შეასრულა ჩაის პლანტაციებში ფოსფორიანი სასუქის შეტანის დავალება.

მეურნეობაში ჩაის პლანტაციების საზამთრო დაბრეკის დღიური დავალება 200-220 პროცენტით სრულდება. ყველაზე წინაა კომენსტ გ. ლენინის აგრონომიონი. მაღალაყოფიერად მოზამაბენ აგრეთვე გ. კუჭავაკი, ი. მაზმანიდის და პ. ბეზშინის აგრონომიონები. სტაბანოგეური შრომის მაგალითებს იძლევიან მეშები გ. სავინა, ა. შიშოვა, ა. კატლოვა, ზ. ზორკინა და სხვ.

ბერიას სახელობის ალამპრის საბჭოთა მეურნეობამ ციტრუსოვანთა ნაკოფის დამზადების გეგმა დიდი ხანია გადაჭარბებით შეასრულა. მეურნეობაში სანიმუშოდ მოგმზადნენ ციტრუსოვანთა ნარგავების გამოზამთრებისათვის.

ქობულეთის რაიონის სოფელ ხეცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში კოლმეურნეებმა წარმატებით შეასრულეს გასული წლის სახელმწიფო დავალებანი, ამასთან დაამთავრეს ზამთრის სამუშაოები ჩაის პლანტაციებში, მთელ ფართობში შეიტანეს ფოსფორიანი სასუქი, წესრიგზე მოიყვანეს საფრენაკო არხები, შემოლობეს პლანტაციები, კარგად უვლიან ციტრუსოვანთა ნერგებსა და ნარგავებს.

თამბაქო გეგმის გადამეტებით

ხულო. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელები თამბაქოს გეგმის გადამეტებით ამარებენ სახელმწიფოს. მარტო სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ უკანასკნელ დღეებში გეგმის გადამეტებით ჩააბარა 25 ცენტნერი ხარისხოვანი თამბაქო. განსაკუთრებით დიდი მოსავალი მიიღო იმ რგოლმა, რომელსაც რ. აბესსერიძე ხელმძღვანელობს.

მოწინავეთა რიგებში არიან აგრეთვე სოფელ დიდ აჭარის მესამე ინტერნაციონალის, სოფელ ირემაძეების ჩაი პაევის სახელობის და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობები, რომლებმაც პირნათლად შეასრულეს სახელმწიფო დავალებანი და ამჟამად გეგმის გადამეტებით აბარებენ თამბაქოს ნედლეულს.

სოციალისტური შრომის გმირები

ა. ხ. გაბუტაძე

ბათუმის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის ჯილდოა მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 6.280 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

გ. ჯ. ნემსაძე

ქობულეთის რაიონის ხეცუბნის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის ჯილდოა მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 6.055 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

ა. მ. ფაჩაკვანია

ზუგდიდის რაიონის რუხის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის ჯილდოა მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 6.633 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

გ. ს. ჩხარტიშვილი

ქობულეთის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის ჯილდოა მიენიჭა 2,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 8.733 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

ხ. გ. ხვინგია

ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის ჯილდოა მიენიჭა 2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 8.055 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

შ. ი. დემეტრაძე

ზუსტაფონის რაიონის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის ჯილდოა მიენიჭა 2 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე 78,2 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის.

მისალმებათა ნაკადი*

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან მიღებულია და კვლავ მოდის მრავალი მისალმება პარტიული, საბჭოთა და სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან, საწარმოთა, კოლმეურნეობათა, დაწესებულებათა და სასწავლებელთა კოლექტივებისაგან, სამხედრო ნაწილებისაგან და ცალკეული საბჭოთა მოქალაქეებისაგან.

მრავალი მისალმება მოდის ამხანაგ სტალინის სახელზე სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან და ცალკე პირთაგან უცხო სახელმწიფოებიდან.

მისალმებანი ამხანაგ სტალინისათვის ჯანმრთელობისა და მრავალი წლის სიცოცხლის სურვილით გამოგზავნეს:

ჩინეთის ეროვნული ხსნის ასოციაციამ;

ჩეხოსლოვაკ კომპოზიტორთა კავშირმა;

ქ. ვარშავის (პოლონეთი) მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა, მწერალთა და კომპოზიტორთა, მხატვართა და არქიტექტორთა, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორთა კრებამ;

პარმის (იტალია) სასოფლო-სამეურნეო მუშებისა და მოჯამაგირეების ლიგის საბჭომ;

ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის პარტიზანთა ასოციაციის პირველი კონგრესის დელეგატებმა;

ქ. ბოლონიის (იტალია) იტალიელ ქალთა კავშირმა;

ვარშავის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორებმა, ასისტენტებმა, სტუდენტებმა და მოსამსახურეებმა;

საქსონიის (გერმანია) სამთამადნო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირმა;

როსტოკის (გერმანია) გემთმშენებელი ვერფის „ნეპტუნის“ მუშათა კოლექტივმა;

სიდნეის (ავსტრალია) ეველეიგის მუშა-რკინიგზელებმა;

ივრისურ-სენის (პარიზი) მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირმა;

კამენცის (საქსონიის მხარე) კერამიკული მრეწველობის სახალხო საწარმოთა გაერთიანების მუშა-მოსამსახურეებმა;

ლებაუს (გერმანია) ბამბის სართავი სახალხო ფაბრიკის მუშებმა;

გლიუკაუფის (გერმანია) სამთო მუშების პროფკავშირმა;

ნაგემა-აუეს (საქსონია) ქარხნის კოლექტივმა;

ქ. გორკის ვ. მ. მოლოტოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ქ. ტაგანროგის ქარხანა „მეტალისტის“ მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

ქ. ლენინგრადის ქარხანა „კინაპის“ მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

ლიუდნიკოვის ლოკომობილმშენებელი ქარხნის მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

ტრესტ „ვოროშილოვუგოლის“ მეშახტეებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

ქ. ლენინგრადის ქარხანა „ლენსტანკოლიტის“ მუშებმა, ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა;

სსრ კავშირის გზათა სამინისტროს დონის როსტოვის ელექტროტექნიკური ქარხნის მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

ქ. ლენინგრადის ნოგინის სახელობის სართავ-საქსოვი ფაბრიკის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

სსრ კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა;

ქ. მოსკოვის არქიტექტორთა საერთო კრებამ;

ბაშკირეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ქ. უფა) სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობამ, მუშებმა და თანამშრომლებმა;

ლენინგრადის ლენინის ორდენოსანი ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვის სახელობის კონსერვატორიის პედაგოგებმა, სტუდენტებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

ქ. აჩინსკის სტალინის სახელობის სახლ-მუზეუმის თანამშრომელთა კოლექტივმა;

მოსკოვის იურიდიული ინსტიტუტის სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობამ და მოსამსახურეებმა;

ქ. ლონდონის (ინგლისი) საბჭოთა დაწესებულებების მუშაკთა საერთო კრებამ;

ავსტრალიაში საბჭოთა საელჩოს თანამშრომელთა კრებამ;

პროფკავშირთა მოსკოვის საოლქო და საქალაქო საბჭოებმა;

აქტიუბინსკის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

მინსკის მოლოტოვის სახელობის ქარხნის მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ქ. ლენინგრადის მანქანათმშენებელი ქარხანა „პრომეტის“ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ქ. დონის როსტოვის გემთმშენებელი ქარხანა „კრასნი დონის“ მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

ქ. ბორისოვის ქარხანა „კრასნი მეტალისტის“ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

მინსკის № 1 სახელმწიფო ელექტროსადგურის მუშებმა, მოსამსახურეებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა;

პოლიგრაფიული მრეწველობის გამომცემლობათა და წიგნის ვაჭრობის საქმეების მთავარი სამმართველოს მუშაკებმა;

სტამბა „კრასნი პროლეტარის“ მუშებმა, სპეციალისტებმა და მოსამსახურეებმა;

გაერთიანება „აზნეფტის“ ტრესტ „კიროვნეფტის“ III სარეწის მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

ტრესტ „ქაგანოვიჩუგოლის“ № 3 შახტის მეშახტეებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

სტალინის სახელობის ხარკოვის ელექტრომექანიკური ქარხნის მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ქ. ხარკოვის ლენინის სახელობის ამწე-სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის ქარხნის მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

საკავშირო ალკკ ზღვისპირეთის სამხარეო კომიტეტმა;

ბაშკირეთის ასსრ ზილაირის რაიონის რაიონული პარტკონფერენციის დელეგატებმა;

ტამბოვის ოლქის ნიკიფოროვკის რაიონის პარტიული აქტივის კრებამ;

საკავშირო კ. პ. (ბ) მაგნიტოგორსკის საქალაქო კომიტეტმა;

ხარკოვ-სამგზავროს რკინიგზის კვანძის III საკვანძო პარტკონფერენციამ;

პროფკავშირთა ნოვოსიბირსკის საოლქო საბჭომ;

ზღვისპირეთის მხარის რაკიტინსკის მტს-ის ტრაქტორისტებმა, კომბაინერებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

მოლდავეთის სსრ კამენკის რაიონის კიროვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა;

ომსკის ოლქის შერბაკულის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „ტრუდ ლენინას“ წევრებმა;

უზბეკეთის სსრ ფერგანის ოლქის კუიბიშევის რაიონის XVIII პარტყრილობის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა;

უკრაინის სსრ პოლტავის ოლქის გადიაჩის რაიონის კოლმეურნეობა „ზაპოვიტ ილიჩას“ წევრებმა;

ალტაის მხარის კამენის რაიონის ტოლსტოვკის სასოფლო საბჭოს მშრომელებმა და სასოფლო-სამეურნეო არტელ „ისკრას“ წევრებმა;

უკრაინის სსრ ხარკოვის ოლქის ბლიზნეცოვკის რაიონის კოლმეურნეობა „ზარია კომუნიზმას“ წევრებმა;

ბურიატ-მონღოლეთის ასსრ კიჟინგის აიმაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ნოვოსიბირსკის ოლქის ჩულიმის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „ნოვაია ჟიზნის“ წევრებმა;

ვორონეჟის ოლქის მიხაილოვკის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელის „პუტ კ კომუნიზმუ“ წევრებმა;

ლატვიის სსრ კოლუნსკის თემის რაინისის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა;

ამურის ოლქის სვობოდნის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „ნოვი მირის“ წევრებმა;

ჟიტომირის ოლქის სლოვეჩნოს რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელის „12 რიჩია ჟოვტნიას“ წევრებმა;

უკრაინის სსრ იმიერკარპატის ოლქის სოფელ სასოვოს სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა;

სტალინგრადის ოლქის ბიკოვოს ტყისსაცავი სადგურის მუშაკთა კოლექტივმა;

პენზის მანქანათმშენებელი ტექნიკუმის მოსწავლეთა, მასწავლებელთა და თანამშრომელთა კოლექტივმა;

ვოროშილოვგრადის ოლქის ქალაქ კრასნოდონის ახალგაზრდობამ;

კუიბიშევის ოლქის ჩაპაევის № 16 შვიდწლიანი სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა;

ხაბაროვსკის მხარის ჩრდილოეთ-ევენკის რაიონის გარმანდინის ნაციონალური საშუალო სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა;

სახალინის ოლქის ქ. ჩეხოვის საშუალო სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა;

ქ. სტავროპოლის № 1 ქალთა საშუალო სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა;

ქ. ვლადივოსტოკის № 9 საშუალო სკოლის მე-8 „ა“ და „ბ“ კლასების მოსწავლეებმა;

დაღისტნის ასსრ ყაზბეგის რაიონის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ;

ქ. ტიუმენის № 21 ქალთა საშუალო სკოლის მასწავლებლებმა, კომკავშირელებმა, პიონერებმა და ყველა მოსწავლემ;

ნოვოსიბირსკის ოლქის ორდინსკოეს რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი სიბირიაკის“ კომკავშირულმა ორგანიზაციამ და ახალგაზრდობამ;

ქ. სარატოვის უსინათლო ბავშვთა მე-9 კლასის მოსწავლეებმა;

ქ. ტაგანროგის ა. პ. ჩეხოვის სახელობის ვაჟთა საშუალო სკოლის მე-7 „ა“ კლასის მოსწავლეებმა;

ქ. სიქტივკარას ვაჟთა მე-14 საშუალო სკოლის მე-5 „ბ“ კლასის მოსწავლეებმა;

ქ. ჩელიაბინსკის მაიაკოვსკის სახელობის ქალთა საშუალო სკოლის მე-10 კომკავშირულმა კლასმა;

მოსკოვის საშუალო სამხატვრო სკოლის მასწავლებლებმა, მოსწავლეებმა და თანამშრომლებმა;

ქ. მოსკოვის II სატროლეიბუსო პარკის მუშებმა, ოსტატებმა, ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა;

მოსკოვ-რიაზანის რკინიგზის რიაზსკის საორთქლმავლო დეპოს მუშა-მოსამსახურეებმა;

კურსკის საჩამომსხმელო-მექანიკური ქარხნის მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ვოლოგდის მექანიკური ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

მოსკოვის XVII პარტყრილობის სახელობის პურის ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

დასავლეთის რკინიგზის ილიჩის სახელობის საორთქლმავლო დეპოს მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ქ. ლენინგრადის სატრიკოტაჟო-საწინდე ფაბრიკა „კრასნოე ზნამიას“ მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

მოსკოვ-კურსკის რკინიგზის სამმართველოს ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა საერთო კრებამ;

ომსკის ტრესტ „გლავმუკის“ საფქვავი ქარხნის „კომუნარის“ მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

კიევ-დაშავას გაზსადენის ექსპლოატაციის სამმართველოს მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ლატვიის სსრ 8 მარტის სახელობის საფეიქრო ფაბრიკის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

მინსკის ველოქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

პერმის რკინიგზის იარის კვანძის მუშაკებმა;

ნახჭევნის ასსრ ვ. ი. ლენინის სახელობის მარილის საბადოს მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

სამხრეთის რკინიგზის ლოზოვაიას საორთქლმავლო დეპოს მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

სსრ კავშირის სამდინარო ფლოტის სამინისტროს გოროდეცკის გემთსაშენის მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

აზერბაიჯანის სსრ საბირაბადის ბამბის საწმენდი ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ტაშკენტის საავტოგენო ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ქ. ბლაგოვეშჩენსკის ქარხანა „ამურსკი მეტალისტის“ მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

არხანგელსკის მოლოტოვის სახელობის ხე-ტყის სახერხი ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ურალის ჩაპაევის სახელობის ბურღულის ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

სსრ კავშირის ელექტროსადგურების სამინისტროს მუშაკებმა;

ლენინგრადის ნახიმოვის სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის პირადმა შემადგენლობამ;

ვ. ი. ლენინის სახელობის ლენინის ორდენოსანი სამხედრო-პოლიტიკური წითელდროშოვანი აკადემიის მსმენელებმა, პროფესორ-მასწავლებელთა და ნებაყოფლობით დაქირავებულთა შემადგენლობამ;

ვ. ი. ლენინის სახელობის აზერბაიჯანის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებმა, ასპირანტებმა, პროფესორებმა, მასწავლებლებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

ქ. მოსკოვის სტამბა „ისკრა რევოლუციის“ მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

სსრ კავშირის საფინანსო-საბანკო მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა;

სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა;

ხარკოვის საავიაციო ინსტიტუტის სტუდენტთა, პროფესორთა, მასწავლებელთა, მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ლენინგრადის ლენინის ორდენოსანი და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სამთო ინსტიტუტის სტუდენტთა, პროფესორთა, მასწავლებელთა, მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატის მუშაკებმა;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობაში ახალი ტექნიკის დანერგვის სახელმწიფო კომიტეტის მუშაკებმა;

ბელორუსიის სსრ ქ. მინსკის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის მსახიობებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

ქ. ლენინგრადის ა. მ. გორკის სახელობის სტამბა „პეჩატნი დვორის“ მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

მოსკოვის საოლქო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებმა, ასპირანტებმა, პროფესორებმა, მასწავლებლებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

ქ. ტალინის ესტონეთის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის „ვანემუინეს“ მსახიობებმა, მოსამსახურეებმა და მუშებმა;

ი. ბ. სტალინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა მოსკოვის ინსტიტუტის სტუდენტთა, პროფესორთა, მასწავლებელთა, მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობის მუშაკთა კოლექტივმა;

ა. ა. ჟდანოვის სახელობის პირველი სანიმუშო სტამბის მუშებმა, სპეციალისტებმა და მოსამსახურეებმა;

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის მეცნიერმა თანამშრომლებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

უზბეკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის სესიამ;

გაზეთ „სოვეტსკოე ისკუსტვოს“ რედაქციისა და გამომცემლობა „ისკუსტვოს“ მუშაკთა კოლექტივმა;

ე. ვახტანგოვის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის მსახიობებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა და შჩუკინის სახელობის თეატრალური სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობამ და სტუდენტებმა;

ბლაგოვეშჩენსკის № 3 სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეებმა, ოსტატებმა, მასწავლებლებმა და მოსამსახურეებმა;

ოდესის მეჩნიკოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობამ, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

სტალინგრადის ოლქის ელანის რაიონის სამედიცინო მუშაკთა საერთო კრებამ;

ტაშკენტის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობამ, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

სარატოვის ოლქის ტურკის რაიონის სამედიცინო მუშაკთა კრებამ;

სტალინგრადის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობამ, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მუშაკთა კოლექტივმა;

სემიპალატინსკის ოლქის აბაის რაიონის კულმენის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებლებმა, კომკავშირელებმა, პიონერებმა და ყველა მოსწავლემ;

სტავროპოლის მხარის საბჭოთა მეურნეობა „ბოლშევისტსკაია ისკრას“ მუშებმა, სპეციალისტებმა და მოსამსახურეებმა;

ვიტებსკის კიროვის სახელობის პედაგოგიური და სამასწავლებლო ინსტიტუტის სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობამ, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

ქ. მოლოტოვის № 5 სკოლის მე-5 „დ“ კლასის მოსწავლეებმა;

ნოვოსიბირსკის სამედიცინო ინსტიტუტის და ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა, სტუდენტთა, ექიმ-კურსანტთა, მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ტამბოვის ოლქის ქ. რასკაზოვოს № 2 სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეთა და მუშაკთა კოლექტივმა;

პარაგვაის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა;

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თავისუფალი გერმანული პროფკავშირების გაერთიანებამ;

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ბრანდენბურგის ორგანიზაციამ;

ქ. მენდოსის (არგენტინა) კომუნისტური პარტიის ორგანიზაციამ;

ბურგენლანდის მხარის გამგეობამ, ავსტრიის კომუნისტური პარტიის რაიონულმა და საქალაქო ორგანიზაციებმა;

ლა ფალდას (არგენტინა) კომუნისტური პარტიის ორგანიზაციამ;

არგენტინის ახალგაზრდობის კომუნისტური ფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა;

ქ. ვარშავის პოლიტიკური პარტიების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა საზეიმო სხდომამ;

კორეის დემოკრატიული სამამულო ფრონტის ცენტრალური კომიტეტის საზეიმო სხდომის მონაწილეებმა;

ჩრდილოეთ კორეის ქალთა დემოკრატიული კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა;

ალბანეთის მწერალთა კავშირმა;

როტერდამის საზეიმო სხდომის 1500 მონაწილემ;

ბრიტანეთის პარლამენტის დეპუტატმა პლეტს-მილსმა;

ქ. ლენინგრადის კიროვის ქარხნის მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ქ. რუბცოვსკის ქარხანა „ალტაისელმაშის“ მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

სტალინის სახელობის ზლატოუსტის მეტალურგიული ქარხნის მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

მოსკოვის სახელობის არხის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ქ. ბაქოს ლენინის ორდენოსანი მე-4 სარეწაო ტრესტ „სტალინნეფტის“ მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

პერმის რკინიგზის ზუევკის საორთქლმავლო დეპოს მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ტრესტ „კანსკუგოლის“ შახტებისა და საწარმოების მეშახტეებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა.

(გაგრძელება იქნება)

*) გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 256, № 257, № 2, № 3.

პრესის მიმოხილვა

მშრომელთა დეპუტატების საბჭოები და გაზეთი [illegible]

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუშაობის გაშუქებას საოლქო გაზეთი „საბჭოთა აჭარა“ ამ ბოლო დროს დიდ ყურადღებას უთმობს. ამაში ნათლად დავრწმუნდებით, თუ თვალს გადავავლებთ ამ გაზეთის უკანასკნელი ორი თვის—1949 წლის ნოემბრისა და დეკემბრის ნომრებს. გაზეთის ფურცლებზე „საბჭოთა მშენებლობის“ რუბრიკით ყოველთვის გვხვდება წერილები, რომლებიც მოგვითხრობენ საბჭოების მრავალმხრივ საქმიანობაზე, დეპუტატთა მიერ ამომრჩევლების განაწესის შესრულებაზე, მუდმივი კომისიების მუშაობასა და მთელ რიგ სხვა საკითხებზე.

16 ნოემბერს „საბჭოთა აჭარამ“ დაბეჭდა ი. კალანდაძის წერილი—„ადგილობრივი საბჭოების მუშაობის გეგმიანობისათვის“. წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ აჭარის ასს რესპუბლიკაში შესამჩნევად გაუმჯობესდა ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა, რასაც ხელი შეუწყო კარგად მოფიქრებულმა და შინაარსიანად შედგენილმა გეგმებმა. ასეთ საბჭოებს შორისაა ხულოს რაიონის დიდაჭარისა და ცხმორისის სასოფლო საბჭოები. ამ საბჭოებმა გამოიყენეს ნოვოშაპოვსკისა და კურდღელაურის სასოფლო საბჭოების გამოცდილება, რაც გაშუქებული იყო: პირველისა — გაზეთ „იზვესტიაში“, ხოლო მეორისა—გაზეთ „კომუნისტში“.

„ცხმორისის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა, —წერს წერილის ავტორი, — სამუშაო გეგმა შეადგინა მას შემდეგ, რაც გულდასმით მოუსმინა დეპუტატებს, ბრიგადირებს, მერგოლურებს, მეცხოველეობის ფერმების გამგეებს, რიგით კოლმეურნეებს და გაითვალისწინა მათი წინადადებები“.

აღმასკომის გეგმაში დიდი ადგილი დაეთმო სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საგზაო მშენებლობის, სოფლის კეთილმოწყობისა და სხვა აქტუალურ საკითხებს. ამ გეგმის განხორციელებისათვის დეპუტატთა უმრავლესობა აქტიურად მუშაობს. მათი მეშვეობით სასოფლო საბჭო მჭიდროდაა დაკავშირებული მოსახლეობასთან, გარშემო იკრებს სოფლის აქტივს, პრაქტიკულ მუშაობაში აბამს ამომრჩევლებს. სისტემატურად მოწმდება სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა. ასეთი გეგმიანი მუშაობის შედეგად ცხმორისის საბჭო მოწინავეა პარტიისა და მთავრობის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. ასევე შეიძლება ითქვას დიდაჭარის სასოფლო საბჭოზეც, რომლის თაოსნობითა და ხელმძღვანელობით სოფელში მასწავლებლებისათვის ააშენეს ოთხოთახიანი საცხოვრებელი სახლი; სოფელ ირემაძეებში დადგეს რადიოკვანძი, რომელიც მომსახურებას უწევს 89 კოლმეურნის ოჯახს; აშენდა სასკოლო შენობა, ააგეს ახალი ხიდი და სხვ.

მაგრამ არიან ისეთი საბჭოებიც, სადაც გეგმებს ფორმალურად ადგენენ და ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობაც არადამაკმაყოფილებელია. წერილის ავტორი მკაცრად აკრიტიკებს ქობულეთის რაიონის ჩაქვისა და ქაქუთის, ბათუმის რაიონის გონიოს, ქედის რაიონის დანდალოს, ხულოს რაიონის ოქტომბრის სასოფლო საბჭოების აღმასკომებს, რომელთა გეგმებში გათვალისწინებული საკითხების უმრავლესობა განუხილავი რჩება. ეს იმითაც აიხსნება, რომ აღნიშნული საბჭოების აღმასკომებს სუსტი კავშირი აქვთ დეპუტატებთან, სოფლის აქტივთან.

16 ნოემბრისავე ნომერში მოთავსებულია წერილი იმ დახმარების შესახებ, რასაც ქედის რაიონის მახუნცეთის სასოფლო საბჭოს აღმასკომს უწევენ საბჭოს მუდმივი კომისიები.

გაზეთი „საბჭოთა აჭარა“ თავის ფურცლებზე საკმაო ადგილს უთმობს დეპუტატთა მიერ ამომრჩეველთა განაწესის შესრულების საკითხს. ამის შესახებ მოგვითხრობს 19 ნოემბრის ნომერში მოთავსებული ორი წერილი, სადაც ლაპარაკია ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატების — მ. ჩადეიშვილისა და მ. გუსევას შეხვედრებზე ამომრჩევლებთან.

დეპუტატის შემოქმედებითი ინიციატივა ყოველთვის მიმართული იყო და არის პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელებისაკენ, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისა და ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობისაკენ. 23 ნოემბრის ნომერში სწორედ ამ საკითხს უძღვნის გაზეთი მოწინავე წერილს — „დეპუტატის შემოქმედებითი ინიციატივა“.

„ხალხის რჩეული — დეპუტატის ძალა და ძლიერება,—წერს გაზეთი, — იმაში მდგომარეობს, რომ იგი განუყრელად არის დაკავშირებული ხალხთან, ცხოვრობს კომუნიზმის ინტერესებით, აქტიურად არის ჩაბმული საბჭოთა ადამიანების შემოქმედებით შრომაში, მათს ბრძოლაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის. ბერიას სახელობის ბათუმის მანქანათმშენებელ ქარხანაში მუშაობს ზეინკალი მ. დონდუა—მშრომელთა დეპუტატების ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატი. იგი ყოველდღიურად ორნახევარ-სამ ნორმას ასრულებს და პირადი მაგალითით აღაფრთოვანებს მუშებსა და მოსამსახურეებს ახალ-ახალი საწარმოო გამარჯვებებისათვის“.

მ. დონდუასა და სხვა დეპუტატებზე გაზეთი ლაპარაკობს როგორც სოციალისტური სახელმწიფოს მოღვაწეებზე, რომლებიც მტკიცედ დგანან ყოველივე ახლის, პროგრესულის მხარეზე და დაუნდობლად ებრძვიან ყოველგვარ ძველს, დრომოჭმულს. ამ დეპუტატთა რიცხვშია ქობულეთის რაიონის ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირი, ქობულეთის რაიონული საბჭოს დეპუტატი აიშე ჯიჯავაძეც, რომელიც ყოველწლიურად ჩაის ფოთლის უხვ მოსავალს იღებს. იგი ჩინებულად დაეუფლა ჩაის კულტურის აგროტექნიკას, მაგრამ ამით როდი დაკმაყოფილდა.

„...წარჩინებული მეჩაიე, — მოგვითხრობს გაზეთი,—აქტიურად მონაწილეობს აგროტექნიკური ცოდნის პროპაგანდაში, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ თავისი მდიდარი გამოცდილება გახადოს მთელი კოლმეურნეობის საკუთრებად. და თუ დღეს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში რვა სოციალისტური შრომის გმირი-მეჩაიეა,—ამაში თავისი მეტად მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის დეპუტატ აიშე ჯიჯავაძეს“.

კარგად არის გაკეთებული 5 დეკემბრის ნომერში სტალინური კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილი გვერდი. საინტერესოა მახინჯაურის სასოფლო საბჭოს დეპუტატ ხ. ღლონტის წერილი—„დეპუტატი ხალხის მსახურია“. ამ წერილში დეპუტატი წერს:

„ჩვენს სოფელს არა ჰქონდა კლუბი, კოლმეურნეობის კანტორა კი ფვარგის შენობაში იყო მოთავსებული. ახალმშენებლობათა შესახებ საკითხი კოლმეურნეთა საერთო კრებაზე დავაყენე, რამაც ერთსულოვანი მხარდაჭერა ჰპოვა. კლუბისა და კანტორის მშენებლობაში კოლმეურნეობას სასოფლო საბჭო დაეხმარა. ამრიგად, სოფელს შეემატა ორსართულიანი, დიდი და ლამაზი კაპიტალური შენობა. მის ზედა სართულში მოთავსებულია კოლმეურნეობის კანტორა, ხოლო ქვედა სართულში გაიხსნა კულტურის სახლი“.

მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებასთან ერთად გაზეთი აკრიტიკებს ჩამორჩენილ საბჭოებს. 11 დეკემბერს „საბჭოთა აჭარამ“ დაბეჭდა წერილი, რომელიც ხულოს რაიონის სხალთის სასოფლო საბჭოს სუსტ მუშაობას ეხება. გაზეთი წერს:

„გავაზელთა მოწოდების საპასუხოდ სხალთის სასოფლო საბჭო ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში და... ამით დაკმაყოფილდა. აქ არავის გახსენებია, რომ საჭიროა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის სისტემატური შემოწმება. აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მიქელაძე გულგრილობას იჩენს ამ უდიდესი მნიშვნელობის საქმისადმი“.

შემდგომ ნომრებშიც გაზეთი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ ასრულებენ სასოფლო საბჭოები სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. კარგი იყო გაზეთის ასევე ფართოდ გაეშუქებინა მშრომელთა დეპუტატების თბილისის ლენინის რაიონული საბჭოს ინიციატივით საქალაქო საბჭოებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობაც.

საერთოდ, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუშაობის გაშუქების საქმეში გაზეთ „საბჭოთა აჭარას“ (რედაქტორი შ. ქურიძე) აქვს დადებითი გამოცდილება, რომელიც სხვა გაზეთებმაც უნდა გადაიღონ. ამ გაზეთის რედაქციას კი მართებს არ დაკმაყოფილდეს მიღწეულით, მომავალში მეტი დახმარება გაუწიოს საბჭოთა ორგანოებს მათ წინაშე დასახული ამოცანების განხორციელებაში.

ზუგდიდელი ახალგაზრდობის საჩუქრები

ამ დღეებში ზუგდიდის რაიონის ახალგაზრდობის დელეგაცია ეწვია ამიერკავკასიის მეტალურგიული გიგანტის ახალგაზრდა მშენებლებს.

დელეგაციაში შედიოდნენ საქართველოს ალკკ ზუგდიდის რაიკომის მდივანი შ. ქობალია, სოფელ ორსანტიის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, სიმინდის უხვი მოსავლის ცნობილი ოსტატი, სოციალისტური შრომის გმირი ტატიანა ხუხუა, ახალსოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირი ვენერა ლომაია, სოფელ ჭითაწყაროს გაზეთ „მებრძოლის“ სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი ორდენოსანი რამინ ყალიჩავა, ქალთა მეორე საშუალო სკოლის ფრიადოსანი მოსწავლე, კომკავშირელი მერი თუთბერია, ზუგდიდის სამასწავლებლო ინსტიტუტის ფრიადოსანი სტუდენტი ლილი რეკვავა, ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის ფრიადოსანი მოსწავლე, პიონერი გიგლა ფიფია, ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის დირექტორი გ. ჯვებენავა და სხვ., სულ 11 კაცი.

ზუგდიდელმა ახალგაზრდებმა მეტალურგმშენის ახალგაზრდებს დიდძალი ძვირფასი საჩუქრები ჩაუტანეს, მათ შორის ერთი პიანინო, 16 რადიომიმღები, პატეფონები, აკორდეონები და სხვა მუსიკალური ინსტრუმენტები, რამდენიმე ცალი ჭადრაკი, რვეულები, საწერი ქაღალდი; გარდა ამისა, მანდარინი, ვაშლი, თხილი; ღვინო და სხვ. მეტალურგმშენის ახალგაზრდებმა ზუგდიდელებისაგან სულ 250.000 მანეთის საჩუქარი მიიღეს. დელეგაციის შესახვედრად გაიმართა სახელდახელო მიტინგი. სიტყვები წარმოთქვეს დელეგაციის წარმომადგენლებმა რ. ყალიჩავამ, მ. თუთბერიამ, ვ. ლომაიამ, ტ. ხუხუამ.

სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე ახალგაზრდა მეტალურგებმა ვ. შუბითიძემ, ს. კიკალეიშვილმა და მ. ფლეიდოროვიჩმა.

იმავე დღეს ექსკურსანტებმა გულდასმით დაათვალიერეს მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის ცალკეული უბნები.

ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეექვსე ტომი

ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეექვსე ტომი შეიცავს 1924 წელს დაწერილ ნაწარმოებებს. ამ ნაშრომებმა უდიდესი ისტორიული როლი შეასრულეს ტროცკიზმისა და სხვა ანტილენინურ დაჯგუფებათა განადგურების, ლენინიზმის დაცვის, დასაბუთების და მისი შემდგომი განვითარების საქმეში. ამხანაგ სტალინის ნაშრომებმა იდეურად შეაიარაღეს ბოლშევიკების პარტია და საბჭოთა ხალხი ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის საბრძოლველად.

1924 წელი მეტად რთული ვითარების წელი იყო ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს ცხოვრებაში. მართალია მრეწველობა მტკიცედ დგებოდა სოციალისტურ რელსებზე, მაგრამ ინდუსტრიის დონე მაინც დაბალი იყო, სოფლის მეურნეობა კი—დაქუცმაცებული და ჩამორჩენილი. საქონელბრუნვის ნახევარზე მეტი კერძო კაპიტალისტებისა და სპეკულანტების ხელში იყო. ამას ემატებოდა რთული საერთაშორისო ვითარებაც. თუმცა ამ პერიოდისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა საბჭოთა სახელმწიფოს ავტორიტეტი საერთაშორისო ასპარეზზე, მაგრამ კაპიტალისტური სამყარო ხელს არ იღებდა მტრულ გამოსვლებზე. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში (გერმანია, იტალია, პოლონეთი, ბულგარეთი და სხვ.) რევოლუციური მოძრაობის ჩახშობის შედეგად კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაციის ვითარებაში II ინტერნაციონალის ლიდერები ცდილობდნენ ჩაენერგათ მუშათა კლასში კაპიტალიზმის „გაუმჯობესების" შესაძლებლობის რწმენა. ისინი აშინებდნენ მუშათა კლასს რევოლუციის სიძნელეებით და ცდილობდნენ ჩაეკლათ მასში საკუთარი ძალებისა და რევოლუციის გამარჯვების რწმენა.

1924 წელს საბჭოთა ხალხმა, მთელი მსოფლიოს მშრომელებმა განიცადეს უდიდესი დანაკლისი — გარდაიცვალა ვ. ი. ლენინი. ლენინი ჩვენგან იმ დროს წავიდა, როცა საერთაშორისო კაპიტალის საზიზღარი ლაქიები, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხალხის უბოროტესი მტრები — ტროცკისტები, ზინოვიევ ელები, ბუხარინელები შეეცადნენ ჩაეკლათ მშრომელებში სოციალიზმის გამარჯვების რწმენა, შეერყიათ პარტიის ერთიანობა და სიმტკიცე, დაესუსტებინათ პარტიული აპარატი და შეეცვალათ ლენინიზმი ტროცკიზმით. მტრები ვარაუდობდნენ, რომ ადვილი იქნებოდა ულენინოდ დარჩენილი პარტიის აცდენა ლენინური გზიდან.

ამხანაგმა სტალინმა, ასრულებდა რა ლენინის ანდერძს, ამ რთულ ვითარებაში გენიალური შორსმჭვრეტელობით განსაზღვრა სოციალისტური საზოგადოების აშენების პერსპექტივები, შეამჭიდროვა ბოლშევიკური პარტია, ხოლო პარტიის გარშემო მუშები და გლეხები და მთელი მათი ძალღონე წარმართა დიად ისტორიულ ამოცანათა გადასაწყვეტად.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საქმეში ფასდაუდებელი როლი შეასრულეს ი. ბ. სტალინის კლასიკურმა ნაშრომებმა — „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ", „ლენინის გარდაცვალების გამო", „ლენინის შესახებ", „ტროცკიზმი თუ ლენინიზმი?", „ოქტომბრის რევოლუცია და რუსი კომუნისტების ტაქტიკა" და სხვ., რომლებიც შესულია მე-6 ტომში. ამ ნაწარმოებებში ჩამოყალიბებულია მუშათა კლასისა და მისი პარტიის მოქმედების გენიალური სტრატეგიული გეგმა.

მძიმე გლოვის დღეებში საბჭოების II სრულიად საკავშირო ყრილობაზე ი. ბ. სტალინმა ლენინის ცხედრის წინაშე დადო დიადი ფიცი. ეს იყო მთელი ბოლშევიკური პარტიის ფიცი თავისი დიდი მასწავლებლისა და ბელადისადმი. დიდმა სტალინმა ფიცი დადო, რომ პარტია მუდამ მაღლა დაიჭერდა და წმინდად დაიცავდა პარტიის წევრის დიად სახელს; თვალის ჩინივით დაიცავდა ჩვენი პარტიის ერთიანობას; დაიცავდა და განამტკიცებდა პროლეტარიატის დიქტატურას; მთელი ძალღონით განამტკიცებდა მუშებისა და გლეხების კავშირს; განამტკიცებდა და გააფართოებდა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს; განამტკიცებდა ჩვენს წითელ არმიას, წითელ ფლოტს. ბოლშევიკურმა პარტიამ დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ შეასრულა ეს ისტორიული ფიცი.

მე-6 ტომში შესულია ი. ბ. სტალინის სიტყვა, წარმოთქმული 1924 წლის იანვარში კრემლის კურსანტების საღამოზე. დიდი სტალინი ღრმა სიყვარულის გრძნობით გვიხატავს ლენინს, როგორც რევოლუციის გენიას, უბადლო ოსტატს, რომელიც მხოლოდ რევოლუციისათვის იყო დაბადებული. „გენიალური შორსმჭვრეტელობა, მოახლოებული ამბების შინაგანი აზრის სწრაფად მიწვდომისა და გამოცნობის უნარი — ეს ლენინის სწორედ ის თვისებაა, რომელიც ეხმარებოდა მას რევოლუციური მოძრაობის მოსახვევებზე დაესახა სწორი სტრატეგია და მოქმედების გარკვეული ხაზი" (ი. ბ. სტალინი. თხზ. ტ. VI, გვ. 75). თავის სიტყვაში ამხანაგმა სტალინმა ვ. ი. ლენინი დაახასიათა როგორც ახალი ტიპის პარტიის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი, რევოლუციის უბადლო სტრატეგი და გენიალური მოაზროვნე, მთის არწივი, ხაზი გაუსვა ლენინის ღირსშესანიშნავ თვისებებს: უბრალოებას, თავმდაბლობას, პრინციპულობას, ლოგიკის არაჩვეულებრივ ძალას, მოწუწუნეებისადმი სიძულვილს, გამარჯვების ურყევ რწმენას და შორსმჭვრეტელობას.

* * *

სამეურნეო ორგანოებში მოკალათებული ტროცკისტები, რომლებიც წარმოადგენდნენ ნეპმანური ბურჟუაზიის დამცველებსა და კაპიტალიზმის აგენტურას, ყოველნაირად ცდილობდნენ სიძნელეები შეექმნათ ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის. ლენინის ავადმყოფობის პერიოდში ტროცკისტებმა პარტიას თავს მოახვიეს დისკუსია, ამ დისკუსიის საშუალებით ისინი ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ ლენინური კადრებისათვის და შეერყიათ პროლეტარიატის დიქტატურა.

XIII პარტიულმა კონფერენციამ, რომელმაც მოისმინა ამხანაგ სტალინის მოხსენება დისკუსიის შედეგების შესახებ, დაგმო ტროცკისტული ოპოზიცია და ამხილა იგი, როგორც მარქსიზმისაგან წვრილბურჟუაზიული გადახრა, როგორც მენშევიზმის სახესხვაობა. ტროცკისტული ოპოზიცია დაგმო XIII პარტიულმა ყრილობამაც, მაგრამ ტროცკისტებს ამის შემდეგაც არ შეუწყვეტიათ თავიანთი საზიზღარი მოქმედება. ტროცკიმ შეთითხნა ცილისმწამებლური სტატია, „ოქტომბრის გაკვეთილები", რომელიც მიმართული იყო ლენინიზმის წინააღმდეგ, რუსეთის სოციალისტურ ქვეყნად გადაქცევის წინააღმდეგ.

ამხანაგმა სტალინმა თავისი გენიალური ნაშრომით „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ" იდეურად გაანადგურა ტროცკიზმი. ამხანაგ სტალინის ეს კლასიკური ნაშრომი წარმოადგენს ლენინიზმის დაცვის, თეორიული დასაბუთებისა და ახალ ისტორიულ ვითარებაში მისი შემდგომი განვითარების უბადლო ნიმუშს. ვ. ი. ლენინის ნაშრომებთან ერთად სტალინის ამ ნაშრომმა უდიდესი როლი შეასრულა ბოლშევიკური პარტიისა და მშრომელთა იდეური შეიარაღების საქმეში. ამხანაგ სტალინს ეკუთვნის ის ისტორიული დამსახურება, რომ მან მოგვცა ლენინიზმის არსის მეცნიერული განსაზღვრა და დაასაბუთა, რომ ლენინიზმი მარქსიზმის განვითარებაა ახალ ისტორიულ ეპოქაში.

„ლენინიზმი, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — არის იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის მარქსიზმი. უფრო ზუსტად: ლენინიზმი არის პროლეტარული რევოლუციის თეორია და ტაქტიკა საერთოდ, პროლეტარიატის დიქტატურის თეორია და ტაქტიკა განსაკუთრებით" (იქვე, გვ. 83).

ლენინიზმის ეს განსაზღვრა ლახვარს სცემდა ლენინიზმის მტრებს, რომლებიც ცდილობდნენ ლენინიზმი დაეხასიათებინათ, როგორც მხოლოდ რუსული, ნაციონალური მოვლენა და დაეპირისპირებინათ ის მარქსიზმისათვის.

მთელი საბჭოთა ხალხი ამაყობს იმით, რომ ლენინიზმის სამშობლო რუსეთია, რომ ლენინიზმი რუსული და მსოფლიო კულტურის უმაღლესი მიღწევაა. აქედან როდი გამომდინარეობს ის, რომ ლენინიზმი წმინდა ნაციონალური, რუსული მოვლენაა. ლენინიზმი არის ყველა ქვეყნების რევოლუციური პრაქტიკის მეცნიერული განზოგადება და, მაშასადამე, ლენინიზმის თეორიისა და ტაქტიკის ცოდნა, მისი შემოქმედებითი შესწავლა აუცილებელია ყველა ქვეყნის პროლეტარული პარტიებისათვის.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის: რუსეთი იმიტომ გახდა ლენინიზმის სამშობლო, ლენინიზმის კერა, პროლეტარული რევოლუციის სამშობლო, რომ იგი იყო იმპერიალიზმის ყველა ეკონომიურ და პოლიტიკურ წინააღმდეგობათა საკვანძო პუნქტი, მას ჰყავდა რევოლუციის ქარცეცხლში გამოწრთობილი პროლეტარიატი, რევოლუციური პროლეტარიატის და გლეხობის სათავეში იდგა ახალი ტიპის პარტია, ბოლშევიკების პარტია.

ასაბუთებს რა ლენინიზმს როგორც ახალ ისტორიულ ვითარებაში მარქსიზმის შემდგომ განვითარებას, ამხანაგი სტალინი ხაზგასმით აღნიშნავს მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემოქმედებით ხასიათს, ლენინიზმის მეთოდის განსაკუთრებით მებრძოლ, რევოლუციურ ბუნებას. ამხანაგი სტალინი გვიჩვენებს, თუ როგორ გამოიჭედა და განმტკიცდა ლენინიზმის მეთოდი მეორე ინტერნაციონალის ოპორტუნისტული, რეფორმისტული მეთოდის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამხანაგი სტალინი ნათლად გვიჩვენებს, რომ იმ ამოცანების გადასაჭრელად, რომლებიც ახალმა ისტორიულმა ვითარებამ დააყენა პროლეტარიატის პარტიის წინაშე, აუცილებელი იყო II ინტერნაციონალის მთელი მუშაობის, მეთოდის გადასინჯვა, მარქსისტული დიალექტიკის დაცვა, მისი კონკრეტიზაცია და შემდგომი განვითარება. ეს უდიდესი და უძნელესი ამოცანა გადაჭრეს ლენინმა და სტალინმა.

მატერიალისტური დიალექტიკა ბოლშევიკური პარტიის მთელი რევოლუციური, თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის საფუძველია. ამ მეთოდით შეიარაღებული პროლეტარიატის რევოლუციური პარტიები შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებენ თანამედროვე რეფორმისტების — იმპერიალიზმის ამ ერთგული აგენტების წინააღმდეგ. რევოლუციური პარტიები ნიღაბს ხდიან, ააშკარავებენ იმ პოლიტიკის იმპერიალისტურ არსს, რომელსაც ინგლისში ეტლი და ბევინი, საფრანგეთში ბლუმი და რამადიე, ავსტრიაში რენერი და შერფი, გერმანიაში შუმახერი და იტალიაში სარაგატი ახორციელებენ.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს თეორიას პროლეტარიატისა და მისი რევოლუციური პარტიის პრაქტიკული საქმიანობისათვის.

„... თეორია — წერს ამხანაგი სტალინი, — შეიძლება გადაიქცეს მუშათა მოძრაობის უდიდეს ძალად, თუ იგი ყალიბდება რევოლუციურ პრაქტიკასთან განუყრელ კავშირში, ვინაიდან თეორიას, და მხოლოდ თეორიას, შეუძლია მისცეს მოძრაობას რწმენა, ორიენტირების ძალა და გარემო მოვლენათა შინაგანი კავშირის გაგება, ვინაიდან თეორიას, და მხოლოდ თეორიას, შეუძლია დაეხმაროს პრაქტიკას გაიგოს არა მარტო ის, თუ როგორ და საით მიემართებიან კლასები აწმყოში, არამედ ისიც, თუ როგორ და საით უნდა გაემართონ ისინი უახლოეს მომავალში" (გვ. 103-104).

ამხანაგ სტალინის ეს გენიალური მითითება საფუძვლად უდევს ჩვენი კადრების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების საქმეს.

ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს ამხანაგ სტალინის მიერ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების ლენინური თეორიის დასაბუთებას და მის შემდგომ განვითარებას.

ნაშრომში: „ოქტომბრის რევოლუცია და რუსი კომუნისტების ტაქტიკა", ამხანაგი სტალინი მიუთითებდა, რომ უნდა განვასხვავოთ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების საკითხის ორი მხარე: შინაგანი და გარეგანი. სოციალიზმის აშენება ჩვენს ქვეყანაში, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — დაკავშირებულია შინაგან წინააღმდეგობებთან, შინაგან სიძნელეებთან. ამხანაგმა სტალინმა დაამტკიცა, რომ ჩვენს ქვეყანას მოეპოვება ყველა შესაძლებლობანი შინაგანი სიძნელეებისა და წინააღმდეგობათა დაძლევისა და მაშასადამე, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებისა. მაგრამ, გვასწავლის ამხანაგი სტალინი, ვიდრე არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, ჩვენი ქვეყანა არ არის გარანტირებული კაპიტალისტური სახელმწიფოების თავდასხმისაგან და, მაშასადამე, კაპიტალიზმის რესტავრაციის საფრთხისაგან.

ლენინურ-სტალინურ მოძღვრებას ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესახებ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენში სოციალიზმის გამარჯვებისათვის. ამ მოძღვრებამ აღჭურვა ჩვენი ხალხი მტკიცე რწმენით, რევოლუციური ოპტიმიზმით, დაუსახა მას სოციალისტური მშენებლობის ნათელი პერსპექტივა და სასიკვდილო ლახვარი ჩასცა მათ, ვინც ცდილობდა ჩაეკლა ჩვენს ხალხში სოციალიზმის გამარჯვების დიადი რწმენა.

ნაშრომში „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ" ამხანაგმა სტალინმა დაასაბუთა და შემდგომ განავითარა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ პროლეტარიატის დიქტატურა არ არის პიროვნებათა უბრალო შეცვლა მთავრობაში, „კაბინეტის" უბრალო შეცვლა ძველი ეკონომიური და პოლიტიკური წესების ხელუხლებლად დატოვებით.

„პროლეტარიატის დიქტატურა, — წერს ამხანაგი სტალინი, — არის არა მთავრობის შეცვლა, არამედ ახალი სახელმწიფო, ძალაუფლების ახალი ორგანოებით ცენტრში და ადგილებზე, პროლეტარიატის სახელმწიფო, აღმოცენებული ძველი სახელმწიფოს, ბურჟუაზიის სახელმწიფოს ნანგრევებზე" (გვ. 131).

ახასიათებს რა საბჭოთა ხელისუფლებას, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმას, ამხანაგი სტალინი იძლევა ბურჟუაზიული დემოკრატიისაგან საბჭოთა დემოკრატიის პრინციპული, თვისობრივი განსხვავების თეორიულ დასაბუთებას.

ამხანაგი სტალინი ხაზს უსვამს იმას, რომ საბჭოთა ხელისუფლების გაჩენა ნიშნავდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პარლამენტარიზმის ეპოქის დასასრულს და პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქის დასაწყისს. საბჭოების ძალა, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — იმაშია, რომ საბჭოები წარმოადგენენ ყოვლისმომცველ მასობრივ ორგანიზაციებს, მასების ყველაზე უფრო მძლავრ ორგანოებს, მასების ყველაზე უფრო დემოკრატიულ ორგანიზაციებს.

კლასიკურ ნაშრომში „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ" ამხანაგი სტალინი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს გლეხობის საკითხს, განსაზღვრავს გლეხობის საკითხის მნიშვნელობას და ადგილს ლენინიზმში, ასაბუთებს, რომ ლენინიზმში მთავარი, ძირითად საკითხს წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი, მიუხედავად ამისა, გლეხობის საკითხს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს პროლეტარული რევოლუციისათვის.

ამ დებულების საფუძველზე ამხანაგი სტალინი ნიღაბს ხდის II ინტერნაციონალის პარტიებს, რომლებიც უარყოფენ გლეხობის პროლეტარიატის ნამდვილ მოკავშირედ გადაქცევას, მისი სოციალიზმის მშენებლობის საქმეში ჩაბმის შესაძლებლობას. ამხანაგი სტალინი სასტიკად ანადგურებს მენშევიკების, ტროცკისტ-ზინოვიეველების და მათი ჯურის სხვა გამცემლების კონტრრევოლუციურ, ანტილენინურ შეხედულებებს გლეხობის საკითხში და ასაბუთებს, რომ პროლეტარიატმა უნდა დაამყაროს მტკიცე კავშირი მშრომელ გლეხობასთან რათა „მჭიდროდ დაუკავშიროს ერთიმეორეს ინდუსტრია და სოფლის მეურნეობა, მაღლა ასწიოს სოციალისტური მშენებლობა და ამოიყვანოს პროლეტარიატის დიქტატურის ის აუცილებელი საძირკველი, ურომლისოდაც შეუძლებელია სოციალისტურ ეკონომიკაზე გადასვლა" (გვ. 159). ამხანაგმა სტალინმა შეიმუშავა და მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის თეორია.

სოციალიზმის მშენებლობის ლენინურ-სტალინური მოძღვრების სასიცოცხლო ძალა და სისწორე ნათელყო ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ძლევამოსილმა გამარჯვებამ. ეს მოძღვრება ამჟამად აიარაღებს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებს ურყევი რწმენით მათ მიერ სოციალიზმის აშენებისათვის წარმოებულ ბრძოლაში.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საქმისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას ნაციონალური საკითხის შესახებ და მის შემდგომ განვითარებას ამხანაგ სტალინის მიერ.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ პროლეტარიატის გამარჯვება შეუძლებელია, თუ არ არსებობს პირდაპირი კავშირი პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლასა და კოლონიებისა და ნახევრადკოლონიური ქვეყნების განმათავისუფლებელ ბრძოლას შორის. შეუძლებელია ნაციონალური საკითხის იმპერიალიზმის ჩარჩოებში გადაჭრა. ნაციონალური საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ პროლეტარული რევოლუციის ნიადაგზე, „ნაციონალური საკითხი არის პროლეტარული რევოლუციის საერთო საკითხის ნაწილი, პროლეტარიატის დიქტატურის საკითხის ნაწილი" (გვ. 163).

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად გატარებით შეიქმნა უძლეველი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც ეყრდნობა ხალხთა [illegible] თანამეგობრობას და რომლისთვისაც უცხოა ნაციონალური უთანასწორობა და ჩაგვრა.

საბჭოთა სახელმწიფო თანმიმდევრულად ატარებს ლენინურ-სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკას, მტკიცედ იცავს იმპერიალიზმის მიერ ჩაგრული და დამონებული ერების ინტერესებს. ჩვენი პარტია შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებს ნაციონალური ნიჰილიზმის და ბურჟუაზიული კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ, რომელიც იმპერიალისტური რეაქციის იდეოლოგიაა, მიმართულია ხალხთა ნაციონალური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ და მიზნად ისახავს გზა გაუკაფოს თანამედროვე იმპერიალისტურ ამერიკას მსოფლიო ბატონობისაკენ.

ამხანაგმა სტალინმა თავის ნაშრომში „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ" მოგვცა ლენინიზმის სტრატეგიისა და ტაქტიკის მეცნიერული დახასიათება. ამხანაგ სტალინის მიერ დამუშავებულ დებულებებს ლენინიზმის სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლისათვის. ისინი აიარაღებენ ყველა ქვეყნის კომუნისტებს იმის ცოდნით, თუ როგორ უნდა უხელმძღვანელონ მშრომელ მასებს განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლაში.

ამხანაგ სტალინის თხზულებათა მეექვსე ტომში დიდი ადგილი უჭირავს საკითხს ახალი ტიპის პარტიის შესახებ. ამხანაგმა სტალინმა განაზოგადა ლენინის მოძღვრება პარტიის შესახებ, განავითარა იგი. პარტია, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — არის მუშათა კლასის მოწინავე, ორგანიზებული რაზმი, შეიარაღებული საზოგადოების განვითარების კანონების ღრმა ცოდნით, პროლეტარიატის კლასობრივი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა, პროლეტარიატის დიქტატურის იარაღი. იგი შეურიგებელია ყოველგვარ ფრაქციულობასთან და დაუნდობელია ყველა ჯურის ოპორტუნისტების მიმართ. ამხანაგი სტალინი ნათელყოფს მეორე ინტერნაციონალის პარტიების ოპორტუნისტულ არსს და გვასწავლის, რომ ეს პარტიები არ წარმოადგენენ პროლეტარიატის მებრძოლ პარტიებს, მათ არ შეუძლიათ და არც სურთ იმ რევოლუციური ამოცანების გადაწყვეტა, რომლებიც დააყენა პროლეტარიატის წინაშე ახალმა ეპოქამ, პროლეტარული რევოლუციების ეპოქამ. ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა, წერს ამხანაგი სტალინი, შეუძლია მხოლოდ ახალი ტიპის პარტიას — ლენინ-სტალინის პარტიას.

სტატიაში „საერთაშორისო მდგომარეობისათვის" ამხანაგმა სტალინმა მოგვცა კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის არსებულ წინააღმდეგობათა ღრმა ანალიზი, ცხადჰყო, რომ უსაფუძვლო და ამაოა ამერიკის ცდა მსოფლიო ჰეგემონიის მისაღწევად. ზოგი ფიქრობს, ამბობდა ამხანაგი სტალინი, „...რომ ამიერიდან ინტერესთა წინააღმდეგობა ევროპის შიგნით უნდა დაჩრდილოს ამერიკის ჰეგემონიამ; რომ ამერიკა, რომელიც დაინტერესებულია ევროპაში თავისი კაპიტალის გატანით, შესძლებს ულუფაზე დასვას ევროპის ქვეყნები და აიძულოს ისინი — წყნარად იყვნენ და უცქირონ, თუ როგორ მდიდრდებიან ამერიკელი ბანკირები" (გვ. 330-331); ამხანაგ სტალინის ეს სიტყვები შესანიშნავად ამხილებენ დღევანდელი ამერიკის იმპერიალისტურ ზრახვებს, აფრთხილებენ უოლსტრიტის მესვეურებს, რომლებსაც სურთ „მარშალის გეგმის" ულუფაზე დასვან ევროპის ქვეყნები.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, მთელი მსოფლიოს მოწინავე ადამიანები საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელობით მტკიცედ იცავენ ევროპის ხალხთა დამოუკიდებლობას, თხიზლად დგანან დემოკრატიისა და პროგრესის სადარაჯოზე.

* * *

ამხანაგ სტალინის თხზულებათა მეექვსე ტომში შეტანილი ნაწარმოებები წარმოადგენენ იმის შესანიშნავ ნიმუშებს, თუ როგორ უნდა ბრძოლა მარქსისტულ-ლენინური თეორიის სიწმინდისათვის, როგორ არის საჭირო ამ თეორიის შემოქმედებითი გამდიდრება და განვითარება ახალ ისტორიულ ვითარებაში. ამხანაგ სტალინის ეს ნაწარმოებები აიარაღებენ ჩვენს ხალხს, ჩვენს პარტიას სრული კომუნისტური საზოგადოების გამარჯვების ურყევი რწმენით.

ი. ჩხიკვიშვილი
ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი

როგორ არ უნდა მუშაობდეს სოფლის მეურნეობის განყოფილება

მშრომელთა დეპუტატების ონის რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის რაიონულ განყოფილებას თავის მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებანი აქვს. განყოფილებაში დაბალია შრომის დისციპლინა, არავინ უწევს კონტროლს თანამშრომელთა სამუშაოზე გამოცხადებასა და წასვლას. არის მრავალი შემთხვევა, როცა თანამშრომლები მუშაობით არ არიან დატვირთული და თავისუფლად დასეირნობენ. უფრო მეტიც, სამუშაო დროს ზოგიერთი მათგანი სასადილოში ქეიფობს.

სოფლის მეურნეობის განყოფილების მუშაკები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან მშრომელთა საჩივრებს. მაგალითად, სოფელ გლოლის მცხოვრებ გიორგი სულთანიშვილის განცხადება, რომელიც განყოფილების უფროს აგრონომს ამხ. მ. ლომაძეს გადაეცა, პასუხგაუცემელია და არც განცხადება ჩანს. სოფელ ღებში მცხოვრებ გენადი ლობჟანიძის განცხადება, რაც გადაცემული ჰქონდა მიწათმომწყობ ალ. ჯაფარიძეს, დაკარგული და პასუხგაუცემელია. ასეთი ფაქტები აქ მრავალია.

რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილება ვალდებულია ყოველთვიურად ადგენდეს ცნობებს მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის რაიონში განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ, მაგრამ განყოფილებას ამის შესახებ მასალები არ მოეპოვება. სუსტად მუშაობენ აგრეთვე ცალკეული დარგის სპეციალისტებიც. ისინი არ იცნობენ კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-პატრონობის მდგომარეობას და მოსავლიანობას. მეცხოველეობის სპეციალისტებიც სათანადო მზრუნველობას არ იჩენენ ამ დარგის შემდგომი აღმავლობისათვის. ისინი მარტო ცნობების ასაღებად დადიან საკოლმეურნეო ფერმებში.

სოფლის მეურნეობის განყოფილების მუშაკებს — ბუხჰალტერს იოსებ ბუზუკაშვილს, [illegible] აგრონომს გ. ჯაფარიძეს და უფროს ვეტექიმს გრიგოლ ომანაძეს უკანონოდ აქვთ შეთავსებული სამუშაო.

სუსტად მუშაობენ განყოფილების მუშაკები აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების საქმეშიც. კოლმეურნეობებში აგროტექნიკურ ღონისძიებათა დარღვევების და შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის მიღებული ზომების შესახებ სოფლის მეურნეობის განყოფილებას არავითარი მასალა არ გააჩნია. ამის შესახებ სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა აგრონომმა ამხ. მ. ლომაძემ განაცხადა: ყოველივე მასალა გვქონდა, მაგრამ ქაღალდები სულ დამიხიესო.

განყოფილებაში საწარმოო თათბირი იმართება როგორც შემთხვევა მოიტანს და ისიც მოუმზადებლად. არ ხდება სპეციალისტთა მოხსენებების, საწარმოო დავალებათა შესრულების საკითხების განხილვა და სხვ. განყოფილება ნაკლებად ზრუნავს მასობრივი კვალიფიკაციის საკოლმეურნეო კადრების აღზრდისა და მომზადებისათვის.

განყოფილების ზოგიერთი მუშაკი თვითონ არღვევს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებას. მაგალითად, განყოფილების უფროსმა აგრონომმა მ. ლომაძემ კოლმეურნეობის გამგეობის ნებადაურთველად დაანგრია სოფელ ღარის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის ბოსელი და საშენი მასალა თავისი პირადი სახლის მშენებლობაზე გამოიყენა.

საჭიროა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ჩარევა საქმეში. აუცილებელია სასწრაფო ზომების მიღება იმ სერიოზულ ნაკლოვანებათა და დამახინჯებათა გამოსასწორებლად, რასაც ამჟამად ადგილი აქვს ონის რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილებაში.

ბ. მეტრეველი
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ტრაქტორების რემონტი ბრიგადულ-კვანძური მეთოდით

წითელწყაროს მტს-ში (დირექტორი ა. ბიწაძე) გაჩაღებულია ტრაქტორების, მისაბმელი იარაღ-მანქანებისა და კომბაინების რემონტი ბრიგადულ-კვანძური მეთოდით. ამას წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა. უწინარეს ყოვლისა, სახელოსნოს ყველა საამქრო: საზეინკლო, სახარატო, სამჭედლო, სადურგლო და სხვა დროულად შეაკეთეს, საჭირო იარაღებით შეავსეს, კვალიფიციური კადრებით დააკომპლექტეს.

ბრიგადულ-კვანძური მეთოდით ნოემბერში აქ შეაკეთეს 20 ტრაქტორი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12-სა. მთლიანად გასული წლის მეოთხე კვარტალში შეკეთებულია 35 ტრაქტორი.

ცალცალკე ბრიგადებს, როგორც ამას ითვალისწინებს ბრიგადულ-კვანძური მეთოდით რემონტი, თავისი სამუშაო ადგილი აქვთ მიჩენილი.

ბრიგადების ხელმძღვანელებად, კონტროლიორებად გამოყოფილი არიან გამოცდილი ამხანაგები. ძრავის შემკეთებელ ბრიგადას გ. დოლიძე ხელმძღვანელობს, სიჩქარის ყუთის შემკეთებელ ბრიგადას — კ. ტარასოვი, უკანა ხიდის შემკეთებელ ბრიგადას — ს. ბელიანინი, წამყვანი ნაწილების შემკეთებელ ბრიგადას — ა. ჭრელაშვილი, დამშლელ და ამწყობ ბრიგადას — შ. მოსაშვილი, თვლიანი ტრაქტორების დამშლელ და ამწყობ ბრიგადას — ა. ელიზბარაშვილი. ცალკეა საბაზისო დეტალების აღმდგენი ბრიგადა, რომელსაც მექანიკოსი ა. ტრუფანოვი მეთაურობს. შექმნილია აგრეთვე რადიატორების დამშლელი და ამწყობი, კარბიურატორებისა და ძრავების გამომცდელი ბრიგადები, რომლებსაც ა. გიგოლაშვილი და ვ. ლევოშკა ხელმძღვანელობენ.

წინათ ერთდროულად 20-25 ტრაქტორი ჩადგებოდა რემონტში. ცალკეული ტრაქტორის ყოველმხრივ რემონტს ძირითადად ამ ტრაქტორზე მიმაგრებული ტრაქტორისტი ასრულებდა. ეს მეტ დროს მოითხოვდა. რემონტი თვეობით ჭიანურდებოდა, ნაკლები იყო კონტროლი შეკეთების ხარისხისადმი. ახლა ტრაქტორების რემონტი გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს. ბრიგადებში გულდასმით უკეთდება რემონტი თვითეულ დეტალს, გაძლიერებულია ხარისხისადმი კონტროლი. ყოველ 5-10 დღეში სახელოსნოში იმართება საწარმოო თათბირი, სადაც სახავენ ნაკლოვანებათა გამოსწორების ღონისძიებებს.

სახელოსნოში შექმნილია ყველა პირობა ორცვლიანი მუშაობისათვის. ფართოდ არის გაშლილი ბრიგადებსა და ცალკეულ მუშებს შორის სოციალისტური შეჯიბრება. აგიტატორები ყოველდღიურად აწყობენ საუბრებს საინტერესო საკითხებზე. სისტემატურად გამოდის კედლის გაზეთი, სადაც ნაჩვენებია ბრიგადულ-კვანძური მეთოდით მუშაობის შედეგები, განზოგადებულია მოწინავეთა გამოცდილება, ხდება ნაკლოვანებათა კრიტიკა.

მუშაობის პირველი შედეგებით თავი გამოიჩინეს მჭედელმა კ. ზაგროვმა, ზეინკალმა ა. პატრიასოვმა, ხარატმა ე. ავეტოვმა. ისინი ყოველდღიურ დავალებებს 150-200 პროცენტით ანაღდებენ. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ძრავების შემკეთებელ ბრიგადაში შ. ჯაგაშვილი, სიჩქარის ყუთების შემკეთებელ ბრიგადაში — გ. შანშიაშვილი, რადიატორების შემკეთებელ ბრიგადაში—ზ. ბატიაშვილი, დამშლელ-ამწყობ ბრიგადაში კი დ. დარჩიაშვილი.

ცალკე ჩამოყალიბებულია სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შემკეთებელი ბრიგადა, რომელსაც მექანიკოსი ა. გარსენიშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადებზე მიმაგრებული არიან მექანიკოსები, შემოღებულია პასუხისმგებელი მუშაკების მორიგეობა, დაწესებულია კონტროლი ცალკეული ტრაქტორის შეკეთების ხარისხისადმი, ცალკე მოწმდება თვითეული დეტალის შეკეთების ხარისხიც. სახელოსნომ გადაჭრით გააძლიერა მუშაობა სათადარიგო ნაწილების ადგილობრივ დასამზადებლად.

ყველა ბრიგადისა და მოწინავე ადამიანის ყოველდღიური მაჩვენებლები აღინიშნება სპეციალურ დაფაზე. ყოველ ხუთ დღეში ჯამდება სახელოსნოს მუშაობის შედეგები. ბრიგადულ-კვანძური მეთოდით ტრაქტორების რემონტმა უფრო გააუმჯობესა შრომის ორგანიზაცია და გაადიდა შრომის ნაყოფიერება. რემონტზე მომუშავეებმა პირობა დადეს პირველი კვარტალის დავალება ვადაზე ხუთი დღით ადრე შეასრულონ.

წითელწყაროს მტს-ი ბრიგადულ-კვანძური მეთოდით რემონტის ჩატარების ინიციატორია. მისი გამოცდილება ამ დარგში ფართოდ უნდა გავავრცელოთ სხვა მტს-ებში.

ნ. ჯანჯღავა
„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„სწორად აუნაზღაურეთ შრომა კოლმეურნეებს"

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 2 დეკემბრის ნომერში მოთავსებული იყო კორესპონდენცია საგარეჯოს რაიონის ცალკეულ კოლმეურნეობებში მოსავლისა და შემოსავლის აღრიცხვისა და განაწილების, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების დარგში არსებულ არანორმალურ მდგომარეობაზე.

საქართველოს კ. პ. (ბ) საგარეჯოს რაიკომის მდივანი ამხ. დ. ქვლივიძე გვატყობინებს, რომ წერილის კრიტიკა სწორია. ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად მიღებულია ზომები. სამუშაოდან მოიხსნა და პასუხისგებაში მიეცა სოფელ კოჭბაანის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის ბუხჰალტერი გ. ზურაბული, აგრეთვე სამუშაოდან მოიხსნა სოფელ საგარეჯოს ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის ბუხჰალტერი მ. მარტიროზოვა.

ოტო გროტევოლი 1950 წელს გერმანელი ხალხის ამოცანების შესახებ

ბერლინი, 4 იანვარი. (საკდესი). გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური ორგანოს, გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდის" საახალწლო ნომერში გამოქვეყნებულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ოტო გროტევოლის სტატია.

წარსული წელი, — წერს ოტო გროტევოლი, — ისტორიაში შევა როგორც გერმანიის ...

... ტი, რომელიც მუდამ იზრდება, ჩაშლის იმპერიალისტთა სამხედრო გეგმებს და ხალხებს მოუტანს განთავისუფლებას კოლონიური და იმპერიალისტური ექსპლოატაციისაგან. გერმანელმა ხალხმა უნდა შეიგნოს, რომ მეგობრობა საბჭოთა კავშირთან, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებსა და ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთან ჩვენი პოლიტიკური მოქმედების უმნიშვნელოვანესი პრინციპია.

... არ უნდა მოხდეს. ამიტომ ყველა პროგრესულმა ძალამ უნდა იზრუნოს ჩვენი ხალხის არსებობის დემოკრატიული მშვიდობიანი საფუძვლის შემდგომი განმტკიცებისათვის.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა იყო იმ პროგრესული ძალების მტკიცე ნების გამოხატულება, რომელთაც არავითარ გარემოებაში არა სურთ დაუშვან, რომ ჩვენს ხალხს დაბრკოლება შეუქმნან მშვიდობიანი და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ყოველივე შესაძლებელს გააკეთებს გერმანიის ერთიანობის აღსადგენად და მშვიდობის შესანარჩუნებლად. ჩვენ შეურიგებელ ბრძოლას ვაწარმოებთ იმ ძალების წინააღმდეგ, რომლებიც აღრმავებენ გერმანიის გათიშვას და სურთ კაცობრიობა ახალი ომის საშინელებაში ჩააგდონ. ჩვენ დარწმუნებული ვართ ამ ბრძოლის ისტორიულ წარმატებაში დასავლეთ გერმანიასა და დასავლეთ ბერლინშიც, ვინაიდან ჩვენი მიზნები შეესაბამებიან ჩვენი ხალხის ბუნებრივი არსებობის მოთხოვნებსა და საერთოსაკაცობრიო პროგრესის პრინციპებს. ჩვენი მიზნები ემთხვევიან აგრეთვე მოკავშირე სახელმწიფოთა მიზნებს, რომლებიც გამოხატუ- ...

... დეგი, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის საარსებო დონის შემდგომ გაუმჯობესებას.

1950 წლისათვის დაგეგმილი სასურსათო პროდუქტების, ხორცისა და ცხიმების ვარდა, რაციონირების გაუქმება, — აცხადებს გროტევოლი, — მოითხოვს ძალების უფრო მეტ დაძაბვას, რათა სოფლის მეურნეობამ მოგვცეს პროდუქტების საკმაო რაოდენობა მოსახლეობის საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

გროტევოლი მოუწოდებს გერმანელი ხალხის პროგრესულ ძალებს ერთობლივი მოქმედებისაკენ. გადაუდებელი ამოცანაა, — ამბობს იგი, — გაერთიანება მუშათა კლასის, გლეხების, მეცნიერების მოღვაწეებისა და ხალხის სხვა ფენების ძალებისა, რომლებიც იბრძვიან მშვიდობიანი გერმანიის აშენებისა და ჩვენი ხალხის საარსებო დონის ამაღლებისათვის.

„ერთიანი გერმანიის შექმნა, — წერს დასასრულს გროტევოლი, — შეიძლება იქნეს მხოლოდ გერმანელი ხალხის ბრძოლის შედეგი. ამიტომ ეროვნული ფრონტი უნდა გადავაქციოთ მძლავრ მოძრაობად, რომელიც გავრცელდება მთელ გერმანიაში და შეგნებულად დაიწყებს ბრძოლას მშვიდობიანი და ერთიანი გერმანიის მტრების წინააღმდეგ. სწორედ ისევე, როგორც ...

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისა და გომინდანელების საიდუმლო შეთანხმება

პეკინი, 3 იანვარი. (საკდესი). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, რომ ამერიკის მთავრობამ და გომინდანელებმა ტაივანზე (ფორმოზა) დადეს საიდუმლო შეთანხმება. ეს იმას ნიშნავს, რომ ამერიკის მთავრობამ გადაწყვიტა შემდეგშიც აღმოუჩინოს დახმარება გომინდანის ნაშთებს სახალხო-განმათავისუფლებელი არმიისადმი წინააღმდეგობის გაწევაში და გადააქციოს ტაივანი სტრატეგიულ ბაზად ...

... კემბერს, გომინდანურმა სააგენტომ სენტრალ ნიუსმა გადასცა ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს მიერ ტაიბეიდან მიღებული სასწრაფო ცნობა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ შეერთებულმა შტატებმა გადაწყვიტეს ეკონომიური და დიპლომატიური დახმარება გაუწიონ ჩან კაი-შის კონტინენტზე ჩინელი კომუნისტების წინააღმდეგ ტაივანიდან მისი კონტრშეტევისათვის, რომ სამხედრო დახმარებას ...

... თუ გომინდანისადმი ზემოაღნიშნულმა დახმარებამ ვერ შეაჩერა სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის შეტევა, ამერიკელი იმპერიალისტები დაიკავებენ კუნძულს იმ საბაბით, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დასვან საკითხი ტაივანისადმი მეურვეობის დაწესების შესახებ.

ეს გარიგება გომინდანსა და შეერთებული შტატების მთავრობას შორის დიდი ჩან კაიშის ნდობით აღჭურვილმა პირმა — გესტაპოს უფროსმა ჯენ კაი-მინმა ნოემბრის შუა რიცხვებში ამერიკაში ყოფნის დროს. ამ გარიგების კონკრეტული პირობები უფრო გვიან განსაზღვრა შეერთებულ შტატებში გომინდანის „სამხრეთ-აღმოსავლეთის სამხედრო და ადმინისტრაციული შტაბის" პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იუ და-ვემ.

ჯენ კაი-მინი, რომელიც შეერთებულ შტატებში თითქოს ვედემეიერის მიწვევით გაემგზავრა, ამერიკაში ორ კვირას დარჩა. გომინდანური სააგენტოს სენტრალ ნიუსის მიერ 30 ნოემბერს ტაიბეიდან მიღებული ცნობის თანახმად, ჯენ კაი-მინი „რამდენჯერმე შეხვდა ვედემეიერს და სხვა მაღალი თანამდებობის ოფიცრებს". ცნობილია, რომ ჯენ კაი-მინი მიილო ჯორჯ მარშალმა — ამერიკის აგრესიული გეგმების ავტორმა. შეერთებული შტატებიდან დაბრუნების შემდეგ ჯენ კაი-მინმა 7 დეკემ- ...

... ნი ამერიკული დოლარი. ... სააგენტოების მიერ 29 დეკემბერს მიღებული ცნობებით, ტაიბეიში — ტაივანის მთავარ ქალაქში ჩავიდა ამერიკის არმიის 32 ოფიცერი და ამერიკელი სამოქალაქო პერსონალი. გარდა ამისა, 27 დეკემბრის შემდეგ ეგრეთ წოდებულმა ჩენოლტის სამოქალაქო საავიატრანსპორტო კომპანიამ ამერიკიდან ტაიბეიში გაგზავნა ვერცხლის ფული. სენტრალ ნიუსის სააგენტოს 28 დეკემბრის ცნობის თანახმად, ეს ვერცხლის ფული ჩაწყობილი იყო 5 ათასზე მეტ ყუთში და ამ ფულის საერთო თანხა 20 მილიონამდე ამერიკულ დოლარს შეადგენდა.

ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სამსახურმა გამოაცხადა, რომ სამხრეთ ტაივანში გაიგზავნა 250 ამერიკული ტანკი და სხვა საჭურველი. ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო სამინისტრომ 29 დეკემბერს ოფიციალურად გამოაცხადა, რომ იგი აზიის წყლებში გაგზავნის 27 ათასი ტონა წყალწყვის ავიამზიდს და 2 საესკადრო ნაღმოსანს ამერიკის მე-7 ფლოტის გასაძლიერებლად. შემდეგ საზღვაო სამინისტრომ გამოაცხადა, რომ მე-7 ფლოტი იქნება ოპერატიული შენაერთი, რომელიც ყოველ დროს შეიძლება გამოყენებულ იქნას ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკისათვის მხარდასაჭერად, იგი იქნება აგრეთვე წყნარ ოკეანეზე სტაბილიზაციის ძალა.

სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხი

ოფიციალური ცხრილი

მოგებათა მე-12 ტირაჟისა, რომელიც შედგა ქ. ალმა-ატაში 1949 წლის 30 ნოემბერს

სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგებათა რაოდენობა მანეთობით	სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგებათა რაოდენობა მანეთობით	სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგებათა რაოდენობა მანეთობით	სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგებათა რაოდენობა მანეთობით
000324	1—50	1 000	020123	1—50	400	048681	1—50	400	074791	50*)	5 000
000770	50*)	10 000	020655	43*)	10 000	049509	01*)	5 000	074908	46*)	5 000
001477	21*)	5 000	021888	42*)	5 000	049941	1—50	400	075975	1—50	400
001670	45*)	5 000	022755	18*)	5 000	050639	1—50	400	076248	1—50	1 000
001859	49*)	10 000	023213	35*)	5 000	050966	19*)	25 000	076452	15*)	5 000
001866	1—50	400	023523	1—50	400	051427	38*)	5 000	078038	39*)	5 000
002828	36*)	50 000	023653	1—50	400	052224	12*)	5 000	078707	1—50	400
002915	1—50	400	023901	1—50	400	053757	1—50	1 000	079007	1—50	400
003275	1—50	400	025662	28*)	5 000	054062	1—50	400	081193	19*)	10 000
003424	1—50	400	025935	30*)	5 000	054330	22*)	5 000	084730	30*)	10 000
004631	43*)	5 000	025977	33*)	5 000	054375	40*)	5 000	085162	1—50	1 000
005414	13*)	5 000	029363	45*)	5 000	054473	26*)	10 000	085459	30*)	5 000
005425	25*)	5 000	030120	1—50	1 000	055299	08*)	5 000	085857	46*)	5 000
006263	08*)	25 000	030725	22*)	5 000	055490	1—50	1 000	086352	40*)	5 000
006736	42*)	10 000	030735	17*)	5 000	055564	42*)	10 000	086739	1—50	400
006752	1—50	1 000	030754	24*)	5 000	055887	04*)	5 000	086914	44*)	5 000
007663	07*)	5 000	030763	23*)	5 000	055968	24*)	50 000	087147	1—50	400
007735	1—50	400	031472	02*)	25 000	056667	1—50	400	087224	50*)	10 000
008819	1—50	1 000	034101	49*)	10 000	056763	45*)	5 000	087918	1—50	400
009447	1—50	400	034563	25*)	5 000	057275	50*)	5 000	088252	35*)	25 000
009758	07*)	10 000	035313	03*)	25 000	060228	45*)	10 000	089927	37*)	5 000
010032	1—50	400	035842	22*)	5 000	061181	08*)	5 000	090022	09*)	5 000
011443	09*)	5 000	036046	10*)	5 000	061234	21*)	5 000	090186	06*)	10 000
011955	44*)	5 000	037820	1—50	400	062122	01*)	10 000	090445	1—50	1 000
013048	38*)	5 000	037981	31*)	5 000	062358	1—50	400	091443	1—50	400
013462	33*)	5 000	038272	38*)	10 000	063998	11*)	5 000	093075	27*)	10 000
013871	22*)	10 000	038807	1—50	400	064119	1—50	400	093555	33*)	10 000
014507	1—50	400	039761	1—50	400	064884	1—50	1 000	094364	1—50	400
014634	14*)	10 000	040066	39*)	5 000	065145	1—50	400	094918	1—50	1 000
015592	50*)	10 000	040690	1—50	1 000	065232	46*)	5 000	095383	37*)	5 000
015977	23*)	5 000	040839	15*)	5 000	065271	03*)	5 000	095807	1—50	1 000
016447	35*)	5 000	041335	1—50	400	065329	35*)	5 000	095836	11*)	5 000
016543	1—50	400	041365	1—50	400	066913	16*)	5 000	095898	50*)	5 000
016787	1—50	400	041842	21*)	5 000	067486	26*)	5 000	096643	1—50	400
016953	06*)	10 000	042158	42*)	5 000	067822	24*)	5 000	096841	48*)	5 000
017065	1—50	400	042968	1—50	400	067837	24*)	5 000	097085	13*)	5 000
017187	1—50	1 000	043096	46*)	5 000	068084	12*)	10 000	097449	50*)	5 000
017416	29*)	5 000	044011	30*)	5 000	069180	32*)	5 000	098097	38*)	5 000
017417	1—50	400	045167	19*)	5 000	070718	31*)	5 000	098392	1—50	400
018093	15*)	5 000	045645	42*)	5 000	072272	05*)	5 000	098623	1—50	400
019126	40*)	5 000	046619	19*)	5 000	072693	07*)	10 000	099009	1—50	400
019354	1—50	400	047225	26*)	5 000	074258	47*)	10 000	099708	24*)	10 000
019780	47*)	5 000	047932	1—50	400						

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 400 მანეთი მოგება თვითეულს.

კომისიის თავმჯდომარე — მშრომელთა დეპუტატების ალმა-ატის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ხ. ხ. აიბასოვი

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი საფინანსო სამსახურის მრჩეველი ლ. ა. ვასილიევა

ლ. ანდრონიკაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სალამო

თეატრებში

ბულგარელი ხალხი სოციალიზმის გზაზე

ვასილ კოლაროვის საახალწლო სტატია

საიუბილეო „მაჯრა" იაპონიის სამხედრო დამნაშავე გენერალი ისიი

ბელგიის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს კომუნიკე

... ლიარდ ფრანკს შეადგენს და მოსახლეობას აუტანელ საგადასახადო ტვირთს აკისრებს. პოლიტბიურო მოუწოდებს მოაწყონ მასების ლონისძიებანი სამხედრო მასალების გადატანისა და წარმოების წინააღმდეგ.

... ანტილეოპოლდისტს მასობრივი მოქმედებისაკენ, რაც მიმართული იქნება წინააღმდეგ ლეოპოლდის დაბრუნებისა, რომელიც სოციალური რეაქციისა და ომის მომზადების პოლიტიკის სიმბოლოა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ზამდივნისა — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და საბჭოთა მშენებლობისა — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორისა — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 150.000 უე 00402